

სახელმწიფო აუდიტის სამსახური



„ ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ “

აუდიტის დეპარტამენტის უფროსის მ/შ
აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში

კახაბერ კირტავა

„15 „მაისი“, 2014 წელი

2 ეგზ.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის

მეურნეობის სამინისტრო

ფინანსური და შესაბამისობის აუდიტის ანგარიში № 5/105

2013 წლის 1 იანვარი - 2013 წლის 31 დეკემბერი

სარჩევი

აუდიტის ანგარიში

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ.....	3
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხელმძღვანელობას	3
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა	3
აუდიტორის პასუხისმგებლობა	3
პირობითი მოსაზრების საფუძველი ფინანსური ანგარიშგების შესახებ	4
პირობითი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ	5
დასკვნა საქმიანობის კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ	5
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა	5
აუდიტორის პასუხისმგებლობა	5
პირობითი მოსაზრების საფუძველები კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ	6
პირობითი მოსაზრება კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ	16
მნიშვნელოვან საკითხთა ხაზგასმა	16
• პროგრამული ბიუჯეტის დაგეგმვა	16
• სსიპ „ლაბორატორიული კვლევითი ცენტრის“ სტატუსი, შემოსავლები და ხარჯები	17
• საბუღალტრო დოკუმენტაციის წარმოება	17
ბიუჯეტის შედგენა -შესრულების მდგომარეობა	18
აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი	21
ანგარიშგების ფორმები	22

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს
ხელმძღვანელობას

აუდიტის დეპარტამენტმა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, ჩაატარა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი, რომელმაც მოიცვა სამინისტროს 2013 წლის ნაერთი ბალანსის, ეკონომიკური კლასიფიკაციის შესაბამისად ხარჯების, არაფინანსური აქტივების საკასო ოპერაციების, ფინანსური აქტივებითა და ვალდებულებებით საკასო ოპერაციების, წმინდა ღირებულების, სხვა შემოსავლებიდან მიღებული სახსრების მოძრაობის, ფულადი გრანტების, არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის, ფინანსური აქტივებისა და ვალდებულების ცვლილებებისა და ავტომანქანების ექსპლუატაციაზე გაწეული ხარჯების შესახებ ანგარიშგებები. 2012 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდის აუდიტი ასევე მოიცავს ანგარიშს დებიტორულ-კრედიტორული დავალიანების შესახებ.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

სამინისტროს ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და მის სამართლიან წარდგენაზე საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ დებულების, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციისა და 2008 წლის 16 აპრილის „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ N364 ბრძანების შესაბამისად.

აღნიშნული პასუხისმგებლობა მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტის დეპარტამენტი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში პასუხისმგებელია, რომ აუდიტის საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით მოითხოვება აუდიტორის მიერ ეთიკის მოთხოვნების დაცვა, აუდიტის დაგეგმვა და წარმართვა იმგვარად, რომ მიღებულ იქნეს დასაბუთებული რწმუნება იმის შესახებ, შეიცავს თუ არა მოცემული ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობას.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების ჩატარებას აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხებისა და განმარტებითი შენიშვნების შესახებ. პროცედურები შეირჩევა აუდიტორის პროფესიული განსჯის საფუძველზე, რაც მოიცავს ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობების რისკების შეფასებას, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. ამ რისკების შეფასების დროს აუდიტორი განიხილავს, შესაფერისია თუ არა შიდა კონტროლი სამინისტროს ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის, რომ განსაზღვრულიყო მოცემული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოთქვას შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე. აუდიტი აგრეთვე გულისხმობს ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებულ სააღრიცხვო პოლიტიკისა და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების მართებულობის შეფასებას, ასევე მთლიანად ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას.

ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი ფინანსური ანგარიშგების შესახებ

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ მექანიზაციის ტექნიკური საშუალებებით ფერმერთა უზრუნველყოფის ხელშეწყობის პროგრამის 2012 წლის პრიორიტეტების არასწორი განსაზღვრის შედეგად, 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სამინისტროს ნაშთად ერიცხება აღნიშნული პროგრამის ფარგლებში შესყიდული 23 ერთეული -10,1 ათასი ლარის ღირებულების ზურგსაკიდი შემასხურებელი აპარატი. ამასთან, აღნიშნული აპარატები ნაცვლად შემდგომი რეალიზაციისათვის შეძენილი საქონელის (1624) ანგარიშისა, აღრიცხულია ძირითადი აქტივების ანგარიშზე¹.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2011 წლის 18 იანვრის N7 განკარგულებით დამტკიცებული იქნა 2011-2012 წლების მიზნობრივი პროგრამა-

¹ არ არის შესაბამისობაში საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის მე-19 და 22-ე მუხლის მოთხოვნები.

„მექანიზაციის ტექნიკური საშუალებებით ფერმერთა უზრუნველყოფის ხელშეწყობა“, რომლის ფარგლებშიც სამინისტროს მიერ 111,9 ათას ლარად შესყიდული იქნა 255 ერთეული ზურგსაკიდი შემასხურებელი ძრავიანი აპარატი. 2012 წლისათვის ფერმერებსა და აგრომეწარმეებზე თანადაფინანსების პრინციპით, ღირებულების 50%-ის გადახდის შემდეგ გაიცა 180 ერთეული და 2013 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ნაშთად ირიცხებოდა ზემოთ აღნიშნული მექანიზაციის ტექნიკური საშუალების 75 ერთეული.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2012 წლის 31 დეკემბრის N224 განკარგულების შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ნება მიეცა ზურგსაკიდი შემასხურებელი ძრავიანი აპარატი, ფერმერებსა და აგრომეწარმეებზე გაეცა 30%-იანი თანადაფინანსების პრინციპით, თუმცა მიუხედავად ამისა 2013 წელსაც ვერ მოხერხდა აღნიშნული აპარატების სრულად რეალიზაცია.

ამასთან აღსანიშნავია, რომ აღნიშნული აპარატები აღრიცხულია როგორც ძირითადი აქტივები, რაც შეუსაბამოა „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის მე-19 და 22-ე მუხლის მოთხოვნებთან.

პირობითი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ

ჩვენი აზრით, პირობითი მოსაზრების საფუძვლებში აღწერილი საკითხების ფინანსურ ანგარიშგებაზე შესაძლო გავლენის გარდა, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით სამართლიანად ასახავს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და მისდამი დაქვემდებარებული ორგანიზაციების ფინანსურ მდგომარეობას 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მათი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ სააღრიცხვო პერიოდებისთვის, რომლებიც დასრულდა მოცემული თარიღებით.

დასკვნა საქმიანობის კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და მის სამართლიან წარდგენაზე პასუხისმგებლობის გარდა, რომელიც აღწერილია ზემოთ, სამინისტროს ხელმძღვანელობა ასევე პასუხისმგებელია, რომ უზრუნველყოს ორგანიზაციის საქმიანობის და ფინანსური ოპერაციების კანონმდებლობასთან შესაბამისობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

გარდა ფინანსურ ანგარიშგებაზე მოსაზრების გამოთქმის პასუხისმგებლობისა, რომელიც აღწერილია ზემოთ, აუდიტის დეპარტამენტის აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში პასუხისმგებლობაა აუდიტის საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ. ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი

წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით მოითხოვება აუდიტორების მიერ ეთიკის მოთხოვნების დაცვა, აუდიტის დაგეგმვა და წარმართვა იმგვარად, რომ მიღებულ იქნეს გონივრული რწმუნება იმის შესახებ შეესაბამება თუ არა სამინისტროსა და მისდამი დაქვემდებარებული ორგანიზაციების საქმიანობა და ფინანსური ოპერაციები მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

პირობითი მოსაზრების საფუძვლები კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროში სასოფლო-სამეურნეო გაერთიანებების სარეკლამო მოდელების ჩამოყალიბება და შემდგომი დანერგვის ორგანიზების ქვეპროგრამა, რომლის ბიუჯეტიც 79,0 ათასი ლარით განისაზღვრა, მოქმედი კანონმდებლობის დარღვევით განხორციელდა და მიღებული შედეგები არ შეესაბამება პროგრამით დასახულ მიზნებს. ამასთან პროექტის ფარგლებში გახარჯული თანხა, საბიუჯეტო სახსრების რაციონალური გამოყენების თვალსაზრისით, მნიშვნელოვან რისკ-ფაქტორად უნდა შეფასდეს.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2013 წლის 25 იანვრის N18 განკარგულების შესაბამისად, ფერმერული მეურნეობის განვითარების პროგრამის ფარგლებში დამტკიცებული იქნა სასოფლო-სამეურნეო გაერთიანებების სარეკლამო მოდელების ჩამოყალიბება და შემდგომი დანერგვის ორგანიზების ქვეპროგრამა, რომლის ბიუჯეტიც 79,0 ათასი ლარით განისაზღვრა. ქვეპროგრამა ითვალისწინებდა ქობულეთისა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტებში 5 საცდელ-სანიმუშო, საპილოტე სასოფლო გაერთიანების შექმნას. ქვეპროგრამის პირვანდელ ვარიანტში განსაზღვრული იყო პროგრამის მიზნების მისაღწევად საჭირო საქმიანობა და მათი სავარაუდო ღირებულება, თუმცა ქვეპროგრამაში განხორციელებული ცვლილების შედეგად², შეიცვალა საქმიანობათა ჩამონათვალი და არ იქნა შედგენილი განსახორციელებელ საქმიანობათა ხარჯთაღრიცხვა. აღსანიშნავია, რომ არ ჩატარებულა ბაზრის კვლევა, რითაც განისაზღვრებოდა სამინისტროსათვის მისაღები ხელშეკრულების ოპტიმალური პირობები და ღირებულება³.

აღნიშნული პროგრამის საფუძველზე გამოცხადებული გამარტივებული ელექტრონული ტენდერის⁴ შედეგების გათვალისწინებით, 2013 წლის 25 მარტს სსიპ

² აჭარის ა.რ. მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის N44 განკარგულება

³ შეუსრულებელია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის მოთხოვნები.

⁴ SPA 130005788

„შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტთან“ გაფორმდა ხელშეკრულება პროგრამით განსაზღვრული მომსახურების შესყიდვის შესახებ, ღირებულებით 79,0 ათასი ლარი. ხელშეკრულების 2.2. პუნქტის შესაბამისად მომსახურების ჩამონათვალი, ერთეულის ფასი და მიწოდების ვადები უნდა განსაზღვრულიყო ხელშეკრულების დანატი N2-ის შესაბამისად, თუმცა ამ დანართში მომსახურების ჩამონათვალი არ არის მოცემული და შესაბამისად არ იქნა განსაზღვრული მათი რაოდენობრივი და თანხობრივი მაჩვენებლები.

გაფორმებული ხელშეკრულების პირობებიდან გამომდინარე, 2013 წლის 5 დეკემბერს შედგენილ იქნა მიღება-ჩაბარების აქტი რომლითაც დადასტურებულია, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება შესრულებულია სრულად და შექმნილია 5 საცდელ-სანიმუშო, საპილოტე სასოფლო გაერთიანება. სსიპ „შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან“ გარე დადასტურების გზით მიღებული ინფორმაციის შესაბამისად, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებისათვის, ნაცვლად ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული 56,9 ათასი ლარისა, გაწეულია 53,4 ათასი ლარის ფაქტიური ხარჯი. კერძოდ: ექსპედიციებსა და მივლინებებში, ნაცვლად ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული 2,0 ათასი ლარისა, გახარჯულია 0,8 ათასი ლარი, სამეცნიერო კონფერენციებსა და პუბლიკაციებში, ნაცვლად 2,0 ათასი ლარისა - 0,2 ათასი ლარი, პროექტის ტექნიკური უზრუნველყოფისათვის (ნიადაგის ფიზიკური მახასიათებლების კონტროლის ხელსაწყოების შესყიდვა, რაც ხელშეკრულების გაფორმების თარიღისათვის უნივერსიტეტს არ გააჩნდა) ნაცვლად 15,5 ათასი ლარისა - 15,0 ათასი ლარი და პროექტის შემსრულებელთა შრომის ანაზღაურებისათვის გათვალისწინებული 37,4 ათასი ლარიდან გაცემულია მხოლოდ 1,6 ათასი ლარი (უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის განმარტებით, შრომის ანაზღაურების დარჩენილი თანხის გაცემა სამინისტროსთან მიმდინარე სასამართლო დავის დასრულების შემდგომ განხორციელდება). აღნიშნულს ემატება დღგ -12,1 ათასი ლარი და შესაბამისად უნივერსიტეტს ნაცვლად ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული 10,0 ათასი ლარისა, მოგების სახით დარჩა - 13,5 ათასი ლარი. წარმოდგენილი მასალებიდან ასევე ირკვევა, რომ პროექტის განხორციელებაში მონაწილეობდა 28 პირი. მათ შორის 18 უნივერსიტეტის თანამშრომელი და 10 მოწვეული სპეციალისტი - შექმნილი გაერთიანებების ხელმძღვანელები და სპეციალისტები, რომლებისათვისაც საბიუჯეტო სახსრებით იქმნებოდა სასოფლო-სამეურნეო გაერთიანებები და ამავდროულად მათზე გაიცემოდა ხელფასები. ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, პროექტის ფარგლებში გახარჯული თანხა, საბიუჯეტო სახსრების რაციონალური გამოყენების თვალსაზრისით, მნიშვნელოვან რისკ-ფაქტორზე მიუთითებს.

პროექტის ფარგლებში შექმნილი სასოფლო-სამეურნეო გაერთიანებების წესდებები შეუსაბამოა „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შესახებ“ საქართველოს კანონის

მოთხოვნებთან⁵ (წესდებაში არ არის განსაზღვრული სავალდებულო სარეზერვო ფონდის შექმნისა და განკარგვის წესი, წევრთა (მეპაიეთა) რეესტრის წარმოების წესი, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივისა და მის წევრს (მეპაიეს) შორის ურთიერთვალდებულებების წერილობით გაფორმების წესი) და აღნიშნულ გაერთანებებს არ აქვს მინიჭებული სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის სტატუსი, რაც სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისათვის სახელმწიფო ხელშემწყობი ღონისძიებების სამართლებრივი საფუძველია.

2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ პესტიციდებისა და აგროქიმიკატების ლაბორატორიული კვლევის პროგრამის განხორციელებისას დარღვეულია მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნები.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2013 წლის 25 იანვრის N16 განკარგულებით დამტკიცებული იქნა პესტიციდებისა და აგროქიმიკატების ლაბორატორიული კვლევის პროგრამა. პროგრამის მიზანს, ვადაგასული, უხარისხო, ფალსიფიცირებული პესტიციდებისა და აგროქიმიკატების სარეალიზაციო ქსელში მოხვედრის თავიდან აცილება წარმოადგენდა.

პროგრამის შესრულების მიზნით გამოცხადებულ გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერში გამარჯვება მოიპოვა შპს „მულტიტესტმა“, რომელთანაც 2013 წლის 25 აპრილს გაფორმდა ხელშეკრულება, პესტიციდებისა და აგროქიმიკატების ლაბორატორიული კვლევის მომსახურების შესყიდვის შესახებ, რომლის ღირებულებაც 12,0 ათასი ლარით განისაზღვრა.

სატენდერო განცხადების 1.2.1 მუხლის შესაბამისად, პესტიციდებსა და აგროქიმიკატებზე ნიმუშების აღება, მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენლებთან ერთად უნდა განხორციელებინა სსიპ „სურსათის ეროვნული სააგენტოს“ უფლებამოსილ მოხელეს, თუმცა სააგენტოს წარმომადგენლების აღნიშნულ ღონისძიებებში მონაწილეობა მხოლოდ მეთოდური და პრაქტიკული დახმარებების გაწევით შემოიფარგლებოდა⁶.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, აგროქიმიკატებისა და პესტიციდების ნიმუშების აღება ხდებოდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მინისტრის 2013 წლის 22 მაისის N81 ბრძანებით შექმნილი კონტროლის განმახორციელებელი ჯგუფის მიერ, რაზედაც დგებოდა ნიმუშის აღების აქტები, რომლებიც შესაბამისი ლაბორატორიული დასკვნისათვის ბარდებოდა ტენდერში

⁵ შეუსრულებელია „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“, „დ“ და „ზ“ ქვეპუნქტების მოთხოვნები

⁶ სსიპ „სურსათის ეროვნული სააგენტოს“ უფროსის 2013 წლის 17 მაისის N1-4-9/1254 წერილი

გამარჯვებულ შპს „მულტიტესტს“. ზემოთ აღწერილ პროცესებში სსიპ „სურსათის ეროვნული სააგენტოს“ წარმომადგენელი მონაწილეობდა დამსწრის სტატუსით⁷.

ლაბორატორიული კვლევის შესახებ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად ფიქსირდება სარეალიზაციო ქსელში ფალსიფიცირებული პროდუქციის არსებობა. კერძოდ, ლაბორატორიული დასკვნების შესაბამისად, საქართველოში მოქმედ სტანდარტებს არ შეესაბამება სარეალიზაციო ქსელში გამოტანილი თურქული კომპანია „რაფა ტარიმის“ მიერ წარმოებული „რიდონეტი MC-72“, ირანის ისლამური რესპუბლიკის კომპანია „როჰან ქიმია კო“-ს მიერ წარმოებული „N.P.K“ და ირანის ისლამური რესპუბლიკის კომპანია „როჰან ქიმია კო“-ს მიერ წარმოებული „სუპერფოსფატი“, რის შესახებაც სამინისტროს მიერ შესაბამისი დოკუმენტაცია გადაეგზავნა სსიპ „სურსათის ეროვნული სააგენტოს“, რომელიც ადასტურებს, რომ სამ შემთხვევაში ნამდვილად აქვს ადგილი სარეალიზაციოდ გამოტანილი პროდუქციის ფალსიფიცირების ფაქტებს და სამინისტროს თხოვს მისცეს აღნიშნულს მსვლელობა. სამინისტრო ამ შემთხვევაში შემოიფარგლა იმით, რომ რეალიზაციიდან მიიღო ხელწერილი შემდგომში ფალსიფიცირებული პროდუქციით ვაჭრობისგან თავის არიდების შესახებ და ფაქტიურად გამოვლენილი სამართალდარღვევა რეაგირების გარეშე დარჩა⁸.

„სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად სამეწარმეო საქმიანობის კონტროლი არის მეწარმის საქმიანობის საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობის დადგენა, მის საქმიანობაში სამართალდარღვევების გამოვლენა ან შესაბამისი სანქციის დადება. ამ საქმიანობის განხორციელებისას მაკონტროლებელი ორგანო უფლებამოსილია გააკონტროლოს სამეწარმეო საქმიანობა (მათ შორის: შევიდეს საწარმოში, მოითხოვოს დოკუმენტები, შეაჩეროს საწარმოს საქმიანობა, დალუქოს მეწარმის ქონება, დაათვალიეროს საწარმო, შეამოწმოს მეწარმის მიერ გამოშვებული ნაწარმის ხარისხი) მხოლოდ მოსამართლის ბრძანების საფუძველზე.

მოცემულ შემთხვევაში, სამინისტროს წარმომადგენლები შევიდნენ მეწარმესთან, ამოიღეს (შეისყიდეს) პესტიციდებისა და ქიმიკატების ნიმუშები, გაუკეთეს ლაბორატორიული კვლევა (ანუ შეამოწმეს ნაწარმის ხარისხი), მიღებული შედეგის შესაბამისად რეალიზატორებს დააწერინეს ხელწერილები უვარგისი პროდუქციის განადგურებისა და შემდგომში აღნიშნული პროდუქციით ვაჭრობისაგან თავის არიდების შესახებ, ამასთან გამოვლინდა სამართალდარღვევის ფაქტები. აღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტროს მხრიდან განხორციელებული ქმედება პესტიციდებისა და აგროქიმიკატების ლაბორატორიულ კვლევასთან დაკავშირებით შეიცავს სამეწარმეო

⁷ დარღვეულია საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2007 წლის 30 აგვისტოს N2-131 ბრძანებით დამტკიცებული „ბაზარზე განთავსებული პესტიციდებისა და აგროქიმიკატების კონტროლის და ნიმუშის აღების წესის“ მე-14 მუხლის 1 პუნქტის მოთხოვნა.

⁸ დარღვეულია საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2007 წლის 30 აგვისტოს N2-131 ბრძანებით დამტკიცებული „ბაზარზე განთავსებული პესტიციდებისა და აგროქიმიკატების კონტროლის და ნიმუშის აღების წესის“ მე-13 მუხლის მე-7 და მე-8 პუნქტების მოთხოვნები.

საქმიანობის კონტროლის ნიშნებს, რაც სამინისტროს უფლებამოსილებათა სფეროს სცილდება⁹.

3. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროში სახელმწიფო შესყიდვების წარმოებისას სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრულ მოთხოვნებთან არაერთგვაროვანი მიდგომის შედეგად, ადგილი აქვს კონკურენციის შეზღუდვის ფაქტებს.

კომპიუტერული ტექნიკის შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ ელექტრონული ტენდერის¹⁰ სატენდერო განცხადების შესაბამისად, პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი მისაწოდებელი საქონელის სპეციფიკაცია დამოწმებული და ბეჭედდასმული უნდა ყოფილიყო მწარმოებლის მიერ¹¹. შესყიდვაში მონაწილე პრეტენდენტმა შპს „გეო-აპექსმა“ შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის კითხვა-პასუხის მოდულის საშუალებით, შემსყიდველთან დააზუსტა ტექნიკური პირობები და უკეთესი შეთავაზების მიუხედავად, სამინისტროსაგან მიიღო უარყოფითი პასუხი, 19 დიუმიანი მონიტორის (რომელიც მისივე განმარტებით რამოდენიმე წელია რაც ამოღებულია წარმოებიდან) ნაცვლად, იგივე გავრცობადობის 21 დიუმიანი მონიტორის მიწოდებასთან დაკავშირებით, რის შემდეგაც პრეტენდენტს მონაწილეობა არ მიუღია ტენდერში. გამარჯვებულ ი/მ „გელა პატარაია“-სთან 2013 წლის 18 მარტს გაფორმდა ხელშეკრულება 9,5 ათასი ლარის ღირებულების კომპიუტერული ტექნიკის მიწოდებაზე. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად ირკვევა, რომ მიწოდებული პროდუქციის ტექნიკური მახასიათებლები არ არის იდენტური სატენდერო განცხადებით მოთხოვნილ პარამეტრებთან და ამასთან, მიწოდებული საქონელის სპეციფიკაცია არ არის დამოწმებული მწარმოებლის მიერ, თუმცა ამ შემთხვევაში სამინისტრომ ეს ფაქტები არ მიიჩნია არსებითად.

საკითხისადმი განსხვავებული მიდგომა ფიქსირდება კარტრიჯების შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ ელექტრონული ტენდერის¹¹ (ღირებულება 3,6 ათასი ლარი) შემთხვევაში. სატენდერო განცხადების შესაბამისად, მისაწოდებელი საქონელის სპეციფიკაცია დამოწმებული უნდა ყოფილიყო მწარმოებლის მიერ. შესყიდვაში მონაწილე პრეტენდენტმა შპს „გეო-აპექსმა“, შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის კითხვა-პასუხის მოდულის საშუალებით, შემსყიდველისაგან მოითხოვა საკითხის დაზუსტება და სამინისტროდან მიიღო პასუხი, არა მწარმოებლის, არამედ მიმწოდებლის მიერ მისაწოდებელი საქონელის სპეციფიკაციის დაზუსტების აუცილებლობის შესახებ. მიუხედავად ამისა, მისაწოდებელი საქონელის სპეციფიკაციის მწარმოებლის მიერ დაუმოწმებლობის მოტივით, სატენდერო კომისიის მიერ მიღებული იქნა

⁹ „სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონი

¹⁰ SPA130005437 14.03.2013 წელი

¹¹ SPA130008863 18.04.2013 წელი

გადაწყვეტილება ელექტრონულ ტენდერში გამოვლენილი გამარჯვებული კომპანიის შპს „გეო-აპექსის“ დისკვალიფიკაციის შესახებ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შპს „გეო აპექსმა“ გაასაჩივრა სამინისტროს სატენდერო კომისიის გადაწყვეტილება სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს დავების განმხილველ საბჭოში. საბჭოს გადაწყვეტილებით სრულად დაკმაყოფილდა შპს „გეო-აპექსის“ საჩივარი.

4. ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრის“ მიერ სატენდერო განცხადებით გათვალისწინებული მოთხოვნის კანონშესაბამო ცვლილების შედეგად, შემსრულებელს ავანსის სახით დამატებით გადაერიცხა 57,8 ათასი ლარი.

მემცენარეობის დარგში თანამედროვე აგროტექნოლოგიების დანერგვის ხელშეწყობის ქვეპროგრამის ფარგლებში, გვარა-ხუცუბანში ვაზისა და ხეხილის სანერგე მეურნეობაში სარწყავი სისტემის, ფარდულის, სადრენაჟე სისტემის, შიდა გზების, ქარსაფარი ზოლისა და გარე განათების სამუშაოთა შესყიდვის მიზნით, 2013 წლის 31 ივლისს გაფორმებულ ხელშეკრულებაში¹² (ღირებულება 441,4 ათასი ლარი), განხორციელებული ცვლილების¹³ შედეგად, გაიზარდა საავანსო ანგარიშსწორების წესით სახელშეკრულებო თანხის გაცემის ზღვრული მოცულობა (10%-დან 23%-მდე) და საბანკო გარანტიის საფუძველზე, შემსრულებელს ავანსის სახით გადაერიცხა სახელშეკრულებო თანხის დარჩენილი ნაწილი 51,9 ათასი ლარი. ანალოგიურად, დაბა ჩაქვის სანერგე მეურნეობისათვის სასათბურე კონსტრუქციებისა და მათ მონტაჟთან დაკავშირებული სამუშაოების შესყიდვის შესახებ გაფორმებულ ხელშეკრულებაში¹⁴ განხორციელებული ცვლილებით, ხელშეკრულებაში დამატებით გათვალისწინებული იქნა ანგარიშსწორების საავანსო ფორმა, რაც სახელშეკრულებო თანხის 5 %-ით განისაზღვრა. აღნიშნული ცვლილების შესაბამისად, საბანკო გარანტიის საფუძველზე, შემსრულებელს ავანსის სახით გადაერიცხა სახელშეკრულებო თანხის დარჩენილი ნაწილი 6,8 ათასი ლარი. აღსანიშნავია, რომ ორივე შემთხვევაში სამუშაოთა შემსრულებელია შპს „მაჯა“.

წინასწარი ანგარიშსწორების ფორმა და მოცულობა განსაზღვრული იყო სატენდერო დოკუმენტაციების ტექნიკური პირობებით და შესაბამისად მისი შეცვლა ხელშეკრულების მიმდინარეობის ეტაპზე არ უნდა განხორციელებულიყო¹⁵. ამასთან, წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, გვარა-ხუცუბანში ვაზისა და ხეხილის სანერგე მეურნეობის მოწყობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები, თანხის ავანსად გადარიცხვის პერიოდში დასრულებული იყო და ავანსად საბიუჯეტო სახსრების გაცემის აუცილებლობა არ დასტურდება. ხელშეკრულებებში განხორციელებული ცვლილებები არ იყო არგუმენტირებული და აღნიშნული ქმედებით არაკონკურენტული გარემო შეიქმნა იმ პოტენციური პრეტენდენტებისათვის, რომლებმაც ტენდერის გამოცხადების ეტაპზე არ

¹² SPA 130013670

¹³ შეთანხმება #2. 25.12.2013

¹⁴ N01-10/192. 26.09.2013. SPA 130018570

¹⁵ დარღვეულია „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-9 მუხლის მე-2 პუნქტი.

იცოდნენ საავანსო ანგარიშსწორების არსებობისა და რაოდენობის შესახებ. ამასთან, ამ შემთხვევაში გაუარესდა ზოგადად შემსყიდველის-სახელმწიფოს პირობები, რადგან თანხის ავანსად გადარიცხვა საბიუჯეტო სახსრების ანგარიშზე პროცენტის დარიცხვის თვალსაზრისით, პირობების გაუარესებას ნიშნავს, რადგან რესპუბლიკური ბიუჯეტის საბიუჯეტო სახსრების ანგარიშზე არსებულ ნაშთს, ყოველდღიურად ერიცხება პროცენტი, რაც ბიუჯეტის შემოსავლების ერთ-ერთ წყაროს წარმოადგენს.

5. ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრში“ გამოვლინდა ელექტრონული ტენდერის ჩატარებისას საკვალიფიკაციო მონაცემების არასამართლიანად განსაზღვრის ფაქტები. ამასთან, სატენდერო კომისიის მუშაობაში ადგილი აქვს საკითხებისადმი არაერთგვაროვანი მიდგომისა და სამშენებლო სამუშაოთა ხარჯთაღრიცხვაში ფართო მაშტაბის ცვლილებების ფაქტებს, რაც შესყიდვების არასათანადოდ დაგეგმვა-წარმართვაზე მიუთითებს.

მემცენარეობის დარგში თანამედროვე აგროტექნოლოგიების დანერგვის ხელშეწყობის ქვეპროგრამის ფარგლებში სამშენებლო სამუშაოების შესყიდვისას¹⁶, საკვალიფიკაციო მონაცემებში გათვალისწინებულია პრეტენდენტის გამოცდილების შესახებ ინფორმაციის მოთხოვნა. გამოცდილების შეფასების ინდიკატორად განსაზღვრულია დროის კონკრეტულ მონაკვეთში, დადგენილი ღირებულების ანალოგიური სამუშაოების შესრულება, რაც დოკუმენტურად უნდა ყოფილიყო დადასტურებული. დროის მონაკვეთად აღებულია 2012 წლიდან ტენდერის გამოცხადებამდე პერიოდი (მაქსიმუმ 18 თვე), ხოლო შესრულებულ სამუშაოთა ღირებულება 1 მილიონ ლარზე მეტი.

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მიზანი ჯანსაღი კონკურენციის განვითარება და შესყიდვების მონაწილეთა მიმართ სამართლიანი და არადისკრიმინაციული მიდგომის უზრუნველყოფა¹⁷. მიგვაჩნია, რომ საკვალიფიკაციო მოთხოვნისათვის მცირე პერიოდის განსაზღვრით ადგილი აქვს კონკურენციის შეზღუდვას და ის არ შეიძლება გამოყენებული იქნეს გამოცდილების მქონე პრეტენდენტის გამოვლენის კრიტერიუმად.

აღნიშნულს ადასტურებს, ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ გვარაში მდებარე შენობის რეკონსტრუქციის სარემონტო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში¹⁸, სატენდერო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება, რომლის შესაბამისადაც, საკვალიფიკაციო მოთხოვნასთან შეუსაბამობის მოტივით, დისკვალიფიცირებული იქნა შპს „თბილსათბობმშენი“. პრეტენდენტის მიერ სატენდერო კომისიის გადაწყვეტილება გასაჩივრებულ იქნა სახელმწიფო შესყიდვების

¹⁶ SPA 130013670; SPA 130006249; SPA 130008120; SPA 130018570

¹⁷ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ბ“ და „გ“ პუნქტები

¹⁸ SPA 130006249

სააგენტოს შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოში. საჩივარი დაკმაყოფილდა და მიღებული გადაწყვეტილებით ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრის“ სატენდერო კომისიას დაევალა მის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გაუქმება და პრეტენდენტისათვის ტექნიკური დოკუმენტაციის დაზუსტების მოთხოვნის წარდგენა.

2013 წლის 5 ივნისს სატენდერო კომისიის მიერ მიღებული იქნა გადაწყვეტილება შპს „თბილსათბობმშენის“ მიერ წარმოდგენილ დაზუსტებულ ტექნიკურ დოკუმენტაციასთან დაკავშირებით და საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან მათი შეუსაბამობის გამო შპს „თბილსათბობმშენი“ კვლავ დისკვალიფიცირებული იქნა. ამ შემთხვევაში დისკვალიფიკაციის საფუძველი გახდა ის გარემოება, რომ პრეტენდენტს 2012 წლის 1 იანვრიდან 2013 წლის 1 მარტამდე პერიოდში შესრულებული ჰქონდა არა 1,0 მილიონი ლარის (სატენდერო მოთხოვნა), არამედ 979,2 ათასი ლარის სამუშაოები და ამასთან, რიგი სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტების თარიღები (25.12.2011 და 27.12.2011) არ შეესაბამებოდა სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრულ პერიოდს.

პრეტენდენტის მიერ კვლავ მოხდა სატენდერო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრება და ის ამჯერადაც დაკმაყოფილდა. შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოს 2013 წლის 21 ივნისის გადაწყვეტილებით ა(ა)იპ „აგროსერვისცენტრის“ სატენდერო კომისიას დაევალა მიღებული გადაწყვეტილების გაუქმება და სატენდერო წინადადების ხელახლა შეფასება. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები არ გასაჩივრებულა სასამართლოში. ამასთან, შპს „თბილსათბობმშენის“ დისკვალიფიკაციის შემთხვევაში ხელშეკრულება ფორმდებოდა შპს „მაჯასთან“.

ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრის“ 2013 წლის 8 ივლისის N13 სხდომის ოქმის შესაბამისად, შპს „თბილსათბობმშენი“ გამოვლენილი იქნა გამარჯვებულად და მასთან 2013 წლის 15 ივლისს გაფორმდა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ, რომლის ღირებულებაც 292,9 ათასი ლარით განისაზღვრა. ხელშეკრულების მიმდინარეობის პერიოდში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, ხარჯთაღრიცხვაში არსებული უზუსტობების აღმოფხვრის მიზნით, შეიცვალა სამშენებლო სამუშაოთა მოცულობები ხარჯთაღრიცხვის 35 პუნქტში და დამატებული იქნა 5 ერთეული ახალი სამუშაოებისა, რაც სახელმწიფო შესყიდვების არასათანადო დაგეგმვა - წარმართვაზე მიუთითებს.

საკვალიფიკაციო მონაცემებისადმი განსხვავებული მიდგომა ფიქსირდება დაბა ჩაქვის სანერგე მეურნეობისათვის სასათბურე კონსტრუქციებისა და მათ მონტაჟთან დაკავშირებული სამუშაოების შესყიდვასთან დაკავშირებით¹⁹. სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული პირობების შესაბამისად პრეტენდენტს მოეთხოვებოდა,

¹⁹ SPA 130018570

2012 წლის 1 იანვრიდან 2013 წლის 20 აგვისტომდე პერიოდში, სათბურების მოწყობის სამუშაოების მიწოდების შესაბამისი გამოცდილება საერთო ღირებულებით მინიმუმ 100,0 ათასი ლარი. პრეტენდენტის - შპს „მაჯას“ მიერ, აღნიშნული მოთხოვნის შესაბამისად წარმოდგენილი დოკუმენტები ვერ ადასტურებენ სათბურების მოწყობასთან დაკავშირებით, სატენდერო განცხადებით განსაზღვრული გამოცდილების არსებობას (წარმოდგენილია ინფორმაცია სასათბურე/ საჩითილე მეურნეობისათვის წერტილოვანი სამირკველის, საქვების, ადმინისტრაციული შენობების მოწყობის სამუშაოების შესახებ, ანუ ტიპიური სამშენებლო სამუშაოების და არა სათბურის მოწყობისა, რომელიც მოიცავს თაღოვანი ტიპის სათბურებისათვის კონსტრუქციების, ავტომატური ფანჯრის, გამწოვი სისტემის და წვეთოვანი სარწყავი სისტემის მოწყობას), თუმცა სატენდერო კომისიის მიერ ამ შემთხვევაში მიღებული გადაწყვეტილებით პრეტენდენტის (შპს „მაჯა“) გამოცდილება საკმარისად ჩაითვალა.

6. ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრში“, აგროტექნოლოგიური ნორმების დაუცველობის შედეგად აღგილი აქვს სხვადასხვა ჯიშის ნერგების დიდი რაოდენობით გახმობის ფაქტებს. წარმოდგენილი მასალების შესაბამისად, გამხმარია 41832 ძირი - 38,6 ათასი ლარის ღირებულების ნერგი. ამასთან, ვაზის ნერგების წარმოების შესახებ შეთანხმების გაფორმება, საბიუჯეტო სახსრების ეფექტურ გამოყენებასთან დაკავშირებით, მნიშვნელოვან რისკ-ფაქტორს წარმოადგენს.

2012 წლის 16 მაისს გაფორმებული N01-24/89 ხელშეკრულების შესაბამისად, ინდ. მეწარმე „იოსებ ბარამიძემ“ აიღო ვალდებულება ახალსოფლის ტერიტორიაზე მოეხდინა 59412 ძირი ნერგის წარმოება(მცნობა). 2012 წელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები შესრულებულად ჩაითვალა და შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტების საფუძველზე ი/მ „იოსებ ბარამიძეს“ გადაერიცხა 41,7 ათასი ლარი. აქვე აღსანიშნავია, რომ ვაზის სამირე და ვაზის კვირტი შესყიდული იქნა ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრის“ მიერ, რაშიც გადახდილი იქნა სულ 4,4 ათასი ლარი.

ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრის“ დირექტორის 2013 წლის 24 ივნისის N146 ბრძანების საფუძველზე შექმნილი, ვაზის დამყნის და გახარებული ნერგების დამდგენი კომისიის მიერ დადგენილია, რომ 59412 ძირი ვაზის ნერგის ნაცვლად დამყნის იქნა 41600 ძირი, საიდანაც გაიხარა მხოლოდ 1314 ძირმა. ზიანის ანაზღაურების მიზნით ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრმა“ სასარჩელო განცხადებით მიმართა ბათუმის საქალაქო სასამართლოს და მოითხოვა 18,2 ათასი ლარის გადახდა, თუმცა მხარეებს შორის 2013 წლის 20 დეკემბერს მიღწეული იქნა შეთანხმება, რითაც ი/მ „იოსებ ბარამიძეს“ მიეცა უფლება 2014 წლის გაზაფხულზე საკუთარი სახსრებით განეხორციელებინა 58098 ძირი ვაზის ნერგის წარმოება. აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, ზემოთ აღნიშნული ხელშეკრულების ფარგლებში, ი/მ „იოსებ ბარამიძის“ მიერ ორჯერ განხორციელდა ვაზის მცნობა და სავალალო შედეგის მიუხედავად, მასთან ზემოთ

აღნიშნული შეთანხმების გაფორმება, საბიუჯეტო სახსრების ეფექტურ გამოყენებასთან დაკავშირებით, მნიშვნელოვან რისკ-ფაქტორს წარმოადგენს.

ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრის“ 2013 წლის 9 სექტემბრის N203 ბრძანების შესაბამისად შექმნილი კომისიის მიერ შესწავლილი იქნა 2011-2012 წლებში მიღებული და გადაადგილებული ნერგების მდგომარეობა. კომისიის მიერ წამოდგენილი დასკვნის შესაბამისად, ჩამოწერას ექვემდებარება სხვადასხვა ჯიშის 1546 ძირი - 20,4 ათასი ლარის საბალანსო ღირებულების ნერგი. აღსანიშნავია, რომ უსასყიდლოდ მიღებული ნერგების შეფასება არ მომხდარა და ისინი მხოლოდ რაოდენობრივად იყო აღრიცხული²⁰.

კომისიის დასკვნის შესაბამისად, ნერგების გახმოვის მიზეზს გარემო ფაქტორებთან ერთად აგროტექნოლოგიური ნორმების დაუცველობა წარმოადგენდა. აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით არსებული ხარვეზები და ნაკლოვანებები დაფიქსირებულია ასევე აუდიტის სამსახურის მიერ ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრის“ წინა პერიოდის აუდიტის ანგარიშში.

7. ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრში“, „მემცენარეობის დარგში თანამედროვე აგროტექნოლოგიების დანერგვის ხელშეწყობისა“ და „მეცხოველეობის დარგში ხელოვნური განაყოფიერების დანერგვის ხელშეწყობის“ ქვეპროგრამების ფარგლებში შესყიდულია 25,0 ათასი ლარის 13510 ლიტრი საწვავი. აღნიშნული საწვავის პროგრამის მიზნებისათვის გამოყენება დოკუმენტურად არ დასტურდება. შესაბამისად წარმოდგენილი დოკუმენტაცია არ გვამღევს საშუალებას გამოვთქვათ მოსაზრება საწვავის მიზნობრივ გამოყენებასთან დაკავშირებით.

„მემცენარეობის დარგში თანამედროვე აგროტექნოლოგიების დანერგვის ხელშეწყობისა“ და „მეცხოველეობის დარგში ხელოვნური განაყოფიერების დანერგვის ხელშეწყობის“ ქვეპროგრამების ფარგლებში შესყიდულია 25,0 ათასი ლარის 13510 ლიტრი საწვავი. დამტკიცებული პროგრამის შესაბამისად, საწვავი უნდა გახარჯულიყო პროგრამის განხორციელების პერიოდში სხვადასხვა სამუშაოების შესრულებისას.

საწვავის ჩამოწერა წარმოებდა ყოველთვიურად შედგენილი ჩამოწერის აქტების საფუძველზე, სადაც ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრის“ კუთვნილი ავტომანქანების ოდომეტრის მონაცემების შესაბამისად განსაზღვრულია ჩამოსაწერი საწვავის რაოდენობა, თუმცა წარმოდგენილი დოკუმენტაცია არ გვამღევს საშუალებას გამოვთქვათ მოსაზრება საბიუჯეტო სახსრების მიზნობრივ გამოყენებასთან დაკავშირებით.

²⁰ შეუსრულებელია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის 23-ე მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნები

8. სსიპ „ლაბორატორიულ კვლევით ცენტრში“ ადგილი აქვს შესყიდვების ხელოვნურად დაყოფის ფაქტებს

სსიპ „ლაბორატორიული კვლევითი ცენტრის“ მიერ 2013 წელს გამარტივებული შესყიდვის ფორმით, მხოლოდ ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსებით შესყიდული აქვს 5,9 ათასი ლარის ღირებულების კომპიუტერული მოწყობილობები, ასევე სპეც. სახსრების ანგარიშიდან გამარტივებული შესყიდვის ფორმით 2 შემთხვევაში შესყიდულია 1,0 ათასი ლარის არაორგანული და ორგანული ქიმიკატები, მაშინ როცა ანალოგიური საქონელის შესყიდვა განხორციელებულია გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საშუალებით, რომლის სახელშეკრულებო ღირებულებაც 12,5 ათას ლარს შეადგენდა. შესაბამისად, ამ შემთხვევებში დარღვეულია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10¹ მუხლის მე-4 და მე-5 მუხლის მოთხოვნები.

პირობითი მოსაზრება კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ

ჩვენი აზრით, პირობითი მოსაზრების საფუძვლებში აღწერილი საკითხების გარდა, სამინისტროსა და მისდამი დაქვემდებარებული ორგანიზაციების საქმიანობა და ფინანსური ოპერაციები, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, შესაბამისობაშია მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებთან.

მნიშვნელოვან საკითხთა ხაზგასმა

- პროგრამული ბიუჯეტის დაგეგმვა

ფერმერული მეურნეობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამის 2013 წლის ბიუჯეტი 1722,0 ათასი ლარით განისაზღვრა. პროგრამა დაყოფილია ქვეპროგრამებად, რომელთა მიზანიც ფერმერული მეურნეობის განვითარების ხელშეწყობაა. აღნიშნული ქვეპროგრამების ფარგლებში შესყიდულია და წარმოდგენილი დოკუმენტაციის (მიღება-ჩაბარების აქტები) შესაბამისად ფერმერებზე თანაგადახდის პრინციპით გადაცემულია სხვადასხვა სახის სასოფლო - სამეურნეო ტექნიკა, ელიტური ჯიშების სარგავი მასალა და ჩამოყალიბდა სასოფლო-სამეურნეო გაერთიანებების სარეკლამო მოდელები.

ზემოთ აღნიშნული პროგრამებისა და ქვეპროგრამების მიზნები რეგიონის ფერმერთა შრომის ნაყოფიერების ამაღლება, ბოსტნეული კულტურების წარმოების ზრდა, მეფუტკრეობის დარგის განვითარება, ხეხილის პერსპექტიული ჯიშების გაშენებაა, თუმცა არ არის შემუშავებული მოსალოდნელი შედეგების შეფასების ინდიკატორები²¹, რითაც შეფასდებოდა პროგრამის შედეგები. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, პროგრამები მაღალი რესურსტევადობით გამოირჩევიან, თუმცა ამის მიუხედავად არ არის

²¹ შეუსრულებელია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 8 ივლისის №385 ბრძანებით დამტკიცებული „პროგრამული ბიუჯეტდგენის მეთოდოლოგიის“ დანართი N3 -ის 3.3 პუნქტის მოთხოვნები.

მკაფიოდ ჩამოყალიბებული პროგრამით მოსარგებლე ფერმერთა შერჩევის კრიტერიუმი და აქცენტი გადატანილია მხოლოდ თანაგადახდის პირობის შესრულებაზე.

• სსიპ „ლაბორატორიული კვლევითი ცენტრის“ სტატუსი, შემოსავლები და ხარჯები

სსიპ „ლაბორატორიულ კვლევით ცენტრში“ 2013 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნების საკასო ხარჯი 314,5 ათას ლარს შეადგენს. ამასთან ცენტრი ფასიან მომსახურებას (ლაბორატორიული კვლევები) უწევს სხვადასხვა ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, მონაწილეობს სახელმწიფო შესყიდვებში, როგორც მიმწოდებელი და მისი საქმიანობა მოგებაზეა ორიენტირებული. ეკონომიკური საქმიანობიდან 2013 წელს მიღებული შემოსავალი 220,2 ათას ლარს შეადგენს, რაც ამავე პერიოდში გამოყენებული საბიუჯეტო სახსრების 70 % შეადგენს. ამასთან, 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სსიპ „ლაბორატორიულ კვლევით ცენტრს“ სპეც.სახსრების ანგარიშზე ნაშთად ერიცხებოდა 48,8 ათასი ლარი.

აღნიშნულის გათვალისწინებით შეიძლება დავასკვნათ, რომ სსიპ „ლაბორატორიული კვლევითი ცენტრი“ არსებითად ეწევა სამეწარმეო საქმიანობას. ასეთ შემთხვევაში „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, შესაბამისი სახელმწიფო მმართველობის ორგანო ვალდებულია განიხილოს ამ პირის რეორგანიზაციის საკითხი.

სსიპ „ლაბორატორიულ კვლევით ცენტრში“ ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლებით შესყიდულია 9,2 ათასი ლარის ღირებულების საწვავი. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად არ დასტურდება აღნიშნული საწვავის ეკონომიკურ საქმიანობაში გამოყენების მდგომარეობა²² და შესაბამისად აღნიშნული ხარჯი ერთობლივი შემოსავალიდან არ გამოიქვითება.

• საბუღალტრო დოკუმენტაციის წარმოება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და მისდამი დაქვემდებარებულ დაწესებულებებში მატერიალურ პასუხისმგებელ პირებთან არ არის გაფორმებული ხელშეკრულება სრული მატერიალური პასუხისმგებლობის შესახებ.²³

ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრსა“ და სსიპ „ლაბორატორიულ კვლევით ცენტრში“ არ წარმოებდა სამუშაო დროის გამოყენების აღრიცხვა, რაც მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ხელფასის დარიცხვის საფუძველს წარმოადგენს²⁴.

²² შეუსრულებელია საქართველოს ფინანსთა მინისტრის „ეკონომიკურ საქმიანობაში გამოყენებულ ძირითად საშუალებებზე გახარჯული საწვავის ერთობლივი შემოსავლიდან გამოქვითვის წესის“ დამტკიცების შესახებ 18.04.2011წ. N230 ბრძანების მე-4 მუხლის მოთხოვნები.

²³ დარღვეულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის მე-5 მუხლის მე-20 პუნქტის მოთხოვნები.

²⁴ დარღვეულია ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების

ბიუჯეტის შედგენა -შესრულების მდგომარეობა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2013 წლის დაზუსტებული ბიუჯეტი 5 821,5 ათასი ლარით განისაზღვრა. ამავე პერიოდის საკასო ხარჯი 5 747,0 ათას ლარს შეადგენს, რაც საბიუჯეტო გეგმის 98,7 პროცენტია. სამინისტროს სისტემაში შემავალი ორგანიზაციების მიხედვით ბიუჯეტის შესრულება შემდეგი სახისაა:


დასახელება	დაზუსტებული გეგმა	საკასო შესრულება	გადახრა	შესრუ ლების %
აჭარის ა.რ. სოფლის მეურნეობის სამინისტროს აპარატი	3 143 730	3 131 716	12 014	99.6
ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრი“	2 343 386	2 300 827	42 559	98.2
სსიპ „ლაბორატორიული კვლევითი ცენტრი“	334 400	314 482	19 918	94.0
ჯამი	5 821 516	5 747 025	74.5	98.7

ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2013 წლის ნაერთი ბიუჯეტის შესრულება მოცემულია ცხრილის სახით

თანხა ასეულებში								
საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლების დასახელება	2013 წლის ბიუჯეტი		2013 წლის ხარჯები		გადახრა ფაქტ.ხარჯსა და გადახდას შორის		გადახრა გეგმა- საკასო	შესრ. %
	დამტკ.	დაზუსტ.	საკასო	ფაქტობრივი	მეტობა	ნაკლებობა		
სულ ხარჯები								
